2-15356/24
27-11-2024

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 160-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გიგზავნით დასკვნას საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის ირაკლი კობახიძის მიერ საქართველოს პარლამენტში ნდობის გამოსაცხადებლად წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობისა და თანდართული სამთავრობო პროგრამისთვის, 2025-2028 - „მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით, კეთილდღეობით ევროპისკენ“ (07-2/2; 25.11.2024) ნდობის გამოცხადების თაობაზე.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ირაკლი ზარქუა

თბილისი 0118, რუსთაველის გამზ. № 8 საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679, ელ-ფოსტა contact@parliament.ge

2-15350/24
27-11-2024

საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის ირაკლი კობახიძის მიერ საქართველოს პარლამენტში ნდობის გამოსაცხადებლად წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობისა და თანდართული სამთავრობო პროგრამისთვის, 2025- 2028 - „მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით, კეთილდღეობით ევროპისკენ“ (07-2/2; 25.11.2024) ნდობის გამოცხადების თაობაზე.

საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტმა, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 160-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, მიმდინარე წლის 26 ნოემბერს, კომიტეტის სხდომაზე, განიხილა საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის ირაკლი კობახიძის მიერ საქართველოს პარლამენტში ნდობის გამოსაცხადებლად წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობისა და თანდართული სამთავრობო პროგრამისთვის, 2025-2028 - „მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით, კეთილდღეობით ევროპისკენ“ (07-2/2; 25.11.2024) ნდობის გამოცხადების საკითხი.

საგარეო საქმეთა მინისტრობის კანდიდატმა მაკა ბოჭორიშვილმა კომიტეტს გააცნო სამთავრობო პროგრამა, მთავრობის სამუშაო გეგმები, პრიორიტეტები, სამომავლო საქმიანობის პრინციპები, მიზნები და ხედვები.

მათ შორის, დეტალურად ისაუბრა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტზე - ქართული დიასპორის გაძლიერებასა და ხელშეწყობაზე. ამ

მიზნით, სახელმწიფო აქტიურად გააგრძელებს უკვე დანერგილი პროექტების განხორციელებას და მათ გაუმჯობესებას. ამასთან, ამოქმედდება ოთხი ახალი პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვას, საზღვარგარეთ დაბადებული წარმატებული ქართველი მოზარდებისთვის საკუთარი სამშობლოს კულტურის, ტრადიციების გაცნობას, თანატოლებთან დაახლოებასა და სამშობლოსთან შემდგომი მყარი კავშირისთვის საფუძვლის შექმნას.

მოხდება თანამემამულეებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და კიდევ უფრო განმტკიცდება დიასპორასთან ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლები. ამოქმედდება დიასპორული ვებპორტალი, მომზადდება სახელმძღვანელოები საკვირაო სკოლებისთვის, კვალიფიკაციის ასამაღლებლად გადამზადდებიან საკვირაო სკოლების პედაგოგები.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი სამთავრობო პროგრამის მიხედვით, მნიშვნელოვან პრიორიტეტად დარჩება საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეებზე ზრუნვა. გაიზრდება საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლებისა და საკონსულო დაწესებულებების ქსელი, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს ჩვენი თანამემამულეების კანონიერი ინტერესების დაცვასა და მათ ეფექტიან მომსახურებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტმა, სხდომაზე დამსწრე კომიტეტის წევრთა ხმების უმრავლესობით, ნდობა გამოუცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის ირაკლი კობახიძის მიერ საქართველოს პარლამენტში ნდობის გამოსაცხადებლად წარმოდგენილ საქართველოს მთავრობის შემადგენლობას და თანდართულ სამთავრობო პროგრამას, 2025-2028 - „მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით, კეთილდღეობით ევროპისკენ“ (07-2/2; 25.11.2024).

კომიტეტის თავმჯდომარე
ირაკლი ზარქუა